საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
MINISTRY OF LABOUR, HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA

KA030139959330517

საქართველო, თბილისი 0159; აკ.წერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ფაქსი:(+995 32) 251 00 19; ცხელი ხაზი:(+995 32) 251 00 33; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge

144 Ak.Tsereteli ave., 0159, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 251 00 11; Fax:(+995 32) 251 00 19;Hot line:(+995 32) 251 00 33; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/13993

09 / მარტი / 2017 წ.

ფაქტ-მეტრის მთავარ რედაქტორს
ბატონ დიმიტრი ავალიანს
მის.: ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ. N27

GRASS REFORMANDA
აიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
წერილის რეგისტრაციის № 129
თარიღი: 13 03 2017 წ.

ბატონო დიმიტრი,

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში 2017 წლის 15 თებერვალს შემოსული თქვენი N30 15.02.17 წერილის პასუხად, გაცნობებთ, შემდეგს:

ბავშვთა ონკოჰემატოლოგიური მომსახურების სახელმწიფო პროგრამა მოიცავს ონკოჰემატოლოგიური დაავადებების მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ამბულატორიულ და სტაციონარულ მკურნალობას. აღნიშნული პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების დაფინანსება ხორციელდება გლობალური ბიუჯეტის პრინციპით, ყოველთვიურად წლიური ასანაზღაურებელი თანხის არაუმეტეს 1/12-ისა.

შესაბამისად, პროგრამის ფარგლებში, 18 წლამდე ასაკის ბავშვებზე გაწეული მომსახურების ხარჯმა შეადგინა:
2014 წლის განმავლობაში (საანგარიშგებო პერიოდი 01.12.2013წ. - 30.11.2014 წ.) - 1 273 575,26 ლარი;
2015 წლის განმავლობაში (საანგარიშგებო პერიოდი 01.12.2014 წ. - 30.11.2015 წ.) - 1 273 787,59 ლარი;
2016 წლის განმავლობაში (საანგარიშგებო პერიოდი 01.12.15 წ. - 30.11.2016 წ.) - 1 697 108,54 ლარი.

დანართის სახით გიგზავნით საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში 0-დან 15 წლამდე ასაკის ბავშვებზე, ონკოლოგიური დაავადებებისა და სუნთქვის ორგანოთა ავადმყოფობების შესახებ ანაზღაურებულ თანხებს წლების მიხედვით.

2014 - 2015 წლების განმავლობაში „ბავშვთა ონკოჰემატოლოგიური მომსახურების პროგრამის" (ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურება) ბიუჯეტი შეადგენდა 1 274 000 ლარს, 2016 წელს - 1 697 500 ლარს, ხოლო 2017 წელს ბიუჯეტი შესადგენს 2 000 000 ლარს.

2014-2016 წლებში ბავშვთა ონკოლოგიური ცენტრების/საავადმყოფოების ინფრასტრუქტურის შექმნა/განახლება და სამედიცინო აპარატურის შესყიდვა არ განხორციელებულა.

სამინისტროს ბიუჯეტში 2017 წელს არ არის გათვალისწინებული თანხა ბავშვთა ონკოლოგიური ცენტრების/საავადმყოფოების ინფრასტრუქტურის შექმნა/განახლების და სამედიცინო აპარატურის შესყიდვისთვის.

დანართის სახით გეგზავნებათ ინფორმაცია რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული ონკოლოგიური და სუნთქვის სისტემის დაავადების მქონე 0-18 წლამდე ასაკის პაციენტების რაოდენობისა და გამოყოფილი დაფინანსების შესახებ.

დანართი 3 ფაილი.

პატივისცემით,
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი

სოფიო უმიკაშვილი

ღონისძიებათა დაგეგმვისა და
საზოგადოებასთან ურთიერთობის
სამმართველოს უფროსი

საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში

	2014	2015	2016
0-15 წლამდე ასაკის ბავშვებზე საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ონკოლოგიურ დაავადებებზე ანაზღაურებული თანხა	563,073	1,057,679	822,676
0-15 წლამდე ასაკის ბავშვებზე საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სუნთქვის ორგანოთა დაავადებებზე ანაზღაურებული თანხა	6,323,007	10,897,611	15,798,088

	პულმონოლოგია -0.18 -2014წ.		პულმონოლოგია-0.18 -2015წ.		პულმონოლოგია-0.18 -2016წ.	
სამიზნე ჯგუფი	პაციენტების რაოდენობა	გამოყოფილი დაფინანსება/ლარი	პაციენტების რაოდენობა	გამოყოფილი დაფინანსება/ლარი	პაციენტების რაოდენობა	გამოყოფილი დაფინანსება/ლარი
	80	**145,745.30**	68	98,018.38	98	29,097.04

სამიზნე ჯგუფი	ონკოლოგია-0.18 -2014წ.		ონკოლოგია-0.18 -2015წ.		ონკოლოგია-0.18 -2016წ.		ონკოლოგია-0.18 -2017წ. (22.02 მდგომარეობით)	
	პაციენტების რაოდენობა	გამოყოფილი დაფინანსება/ლარი	პაციენტების რაოდენობა	გამოყოფილი დაფინანსება/ლარი	პაციენტების რაოდენობა	გამოყოფილი დაფინანსება/ ლარი	პაციენტების რაოდენობა	გამოყოფილი დაფინანსება/ლარი
საზღვარგარეთ	27	432,512.24	40	623,384.00	70	965,818.40	5	42,273.28
საქართველო	61	122,284.00	55	60,331.00	102	132,872.00	6	9,030.00